



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030470201974116

№ 04-381/ო

07 / ივლისი / 2016 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 თებერვლის N04-72/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივლისის N309 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) დირექტორის 2013 წლის 27 თებერვლის № 04-72/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართის სახით.

2. დაევალოთ:


ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით.

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი) ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე